

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს ქ. ლანჩხუთში მორჩილადის ქ. N 1-ში მდებარე 32 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N 27.06.52.081) პრივატიზირებაზე.

გამყიდველი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

დასახელება - ქ. ლანჩხუთში მორჩილადის ქ. N 1-ში მდებარე 32 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N 27.06.52.081)

პრივატიზაციის ფორმა - საჯარო აუქციონი.

განაცხადის (განაცხადების) მიღების ვადა - 2015 წლის 23 სექტემბრის 10 საათიდან 2015 წლის 22 ოქტომბრის ჩათვლით ყოველდღე (არასამუშაო დღეების გარდა)- 17 საათამდე. აუქციონის ჩატარების დღეს 10 საათიდან 13 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღი და დრო - 2015 წლის 22 ოქტომბერს 17 საათი.

აუქციონის ჩატარების ადგილი - ქალაქი ლანჩხუთი, კოსტავას ქუჩა N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართული (სათათბირო ოთახი).

საწყისი გასაყიდი ფასი - 640 (ექვსას ორმოცი) ლარი.

„უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე“ - რომლის ოდენობაც შეადგენს ქონების საწყისი საფასურის 10%-ს - 64 (სამოცდაოთხი) ლარი.

ბიჯი - რომლის ოდენობაც შეადგენს ქონები საწყისი საფასურის 50% - ს- 320 (სამასოცი) ლარი.

აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასური - 50 (ორმოცდაათი) ლარი.

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი - GE75BG000000778077200.

მიმღები ბანკი - „საქართველოს ბანკი“ (BANK OF GEORGIA)

განაცხადის (განაცხადების) მიღების ადგილი (მისამართი) - ქალაქი ლანჩხუთი, კოსტავას ქუჩა N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის სამუშაო ოთახი)

საკონტაქტო პირის სახელი, გვარი, ტელეფონი - ომარ ჯანაძე-ტელეფონი 599 454 462.

საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი - გამარჯვებულად გამოცხადდება ის მყიდველი, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

კომისიისადმი წარსადგენი დოკუმენტაცია:

- განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების დასახელებაზე, ქონების საწყისს საფასურზე, რომლის შემენაც სურს მონაწილეს.

- „უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე“-ს და აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი („უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე“-ს და აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს გამყიდველის მიერ მითითებულ ანგარიშზე)

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში).

- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.

- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

თანხის გადახდის პირობები :

- „უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე” - რომლის ოდენობაც შეადგენს ქონების საწყისი საფასურის 10%-ს - 64 (სამოცდაოთხი) ლარი და აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასური - 50 (ორმოცდაათი) ლარი გადახდილი უნდა იქნას საჯარო აუქციონზე განაცხადის წარდგენამდე.

-საპრივატიზებო თანხის სრულად გადახდა აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

აუქციონის დამატებითი პირობები:

-აუქციონში გამარჯვებულმა საპრივატიზებო თანხა სრულად უნდა დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

- აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების მოწმობა გაიცემა საპრივატიზებო თანხის სრულად დაფარვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

- აუქციონზე გამოტანილი ობიექტის შემძენს, შეძენილ ქონებაზე ოქმითა და ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები წარმოეშვება საკუთრების მოწმობის გადაცემის შემდეგ.

- აუქციონზე გამოტანილი ობიექტის შემძენი ვალდებულია შეძენილ ქონებაზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნის დაცვით.

- თუ მყიდველი აუქციონის დამატებითი პირობებით განსაზღვრულ დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქონების ნასყიდობის თანხას, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე” არ დაუბრუნდება.